შ.პ.ს. “ საინჟინრო ჯგუფი ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “საინჟინრო ჯგუფი”-ის

დირექტორი ბ. მათითაიშვილი



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ-ნი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ს.კ 01.14.02.013.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

თბილისი 2018 წ

დავალების თანახმად, საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ-ნი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ს.კ 01.14.02.013.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ-ნი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ს.კ 01.14.02.013.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ-ნი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ს.კ 01.14.02.013.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ-ნი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ს.კ 01.14.02.013.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ-ნი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ს.კ 01.14.02.013.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები

პროექტი დამუშავებულია კომპანია “სტიპფოლდ სტუდია”-ს მიერ, პროექტის მთავარი არქიტექტორი ნ. ფხაკაძე, კონსტრუქტორი ლ.ზამბახიძე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 მ/წმ;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "LIRA SAPR 2013" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და გაანგარიშებულია სპექტრული მეთოდით.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დასაპროექტებელი ნაგებობა შედგება 22 სართულისაგან, აქედან ქვედა სამი განკუთვნილია ავტოსადგომისათვის. შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, პირველი შვიდი სართულის მაქსიმალური ზომები გეგმაში შეადგენს ღერძებში 29,40 X 33,40 მ., დანარჩენი ზედა სართულების ზომა გეგმაში ღერძებს შორის 13,20 X 21,50 მ. –ია.

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

შენობა დაფუძნებულია გამოფიტული ქვიშაქვებისა და სუბარგელიტების მორიგეობაზე. საძირკვლის ტიპი –მონოლითური რკინაბეტონის ფილა, სისქით 1,8 მ.

შენობის გარე პერიმეტრის ნაწილს გააჩნია კედლები სისქით 25 სმ, კიბის უჯრედში, განივი და გრძივი მიმართულებით გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები, სისქით 40 სმ.

სვეტები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 40X100 სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B30

რიგელები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 400X600(h)მმ, რიგელებში ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B30.

გადახურვები და კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 18 სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B30

პროექტის მიმართ შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შეთავაზებული იქნა ჩემს მიერ, სრულად გაზიარებულია ავტორის მიერ, რომელიც ასახულია მუშა დოკუმენტაციაში

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ-ნი სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, (ს.კ 01.14.02.013.032) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, რეკომენდაცია ეძლევა განხორციელებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru